სასამართლო პროცესის გაჭიანურება, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციის შემაფერხებელი გარემოება

ნანა ნატროშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: უჩა ძიმისტარიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა ნატროშვილი / / 03.07.2017

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვან ასპექტს, სასამართლოების სწრაფ და ეფექტურ ფუნქციონირებას.

ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ მცდელობას, რომ კვლევის შედეგად, გამოკვეთოს სასამართლო პრაქტიკის შეუსაბამობა არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებთან და წარმოაჩინოს კონსტიტუციით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლების არარელევანტური დარღვევა.

თანამედროვე ეტაპზე, მაშინ, როდესაც ქვეყანა ეკონომიკურად ვითარდება და ამას თან სდევს ბიზნესურთიერთობების სიმრავლე, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია სასამართლო დავების სწრაფი გადაწყვეტა, რათა ბიზნეს ურთიერთობებისათვის ქვეყანა უფრო მიმზიდველი და სასურველი გახდეს.

საქართველოში საერთო სასამართლოები ახორციელებენ მართლმსაჯულებას. სასამართლოს გამართული ფუნქციონირება კი პირდაპირ დაკავშირებულია სამართალსუბიექტების უფლებების ეფექტურ დაცვასთან. ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მხრიდან არ დაირღვეს სამართალსუბიექტების უფლებები. აქედან გამომდინარე, აქტუალურ საკითხად უნდა ჩაითვალოს სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეებს შორის არსებული დავის სწრაფი გადაწყვეტა კანონმდებლობის მაქსიმალური დაცვით. კვლევის მიზანია სასამართლო პროცესის მონაწილე პირთა უფლებების დარღვევების შესახებ პრობლემური საკითხების გამოკვეთა და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

კვლევა ეფუძნება პრაქტიკულ, ნორმატიულ და შედარებით სამართლებრივ მეთოდებს. პრაქტიკული მეთოდების საშუალებით განიხილება სასამართლო პრაქტიკაში არსებული შეუსაბამობები კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ნაშრომში გამოკვლეული იქნება საქართველოში მიმდინარე სასამართლო პროცესების თავისებურებანი საპროცესო ვადებთან მიმართებით, ასევე, სასამართლო პრაქტიკაში

არსებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციის პრობლემები, მისი განმარტებები და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები. ნორმატიული მეთოდის საშუალებით, განიხილება სასამართლო განხილვისას მოქმედი ნორმები ქართულ კანონმდებლობაში, რის შედეგადაც გამოიკვეთება პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებები. ასევე, შედარებითი მეთოდის საშუალებით შეფასდება, თუ რამდენად შესაბამისობაშია ქართული ნორმატიული კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან, რომელიც საერთაშორისო აქტს წარმოადგენს და რომლის ხელშემკვრელი სახელმწიფოც საქართველოა.

საკვანძო სიტყვები: სამართლიანი სასამართლო, სასამართლო პროცესი, პროცესის გაჭიანურება.

Abstract

Master's thesis concerns a significant aspect of the right to fair trial, in particular, the quick and effective functioning of courts.

The thesis is kind of an attempt to outline the incompatibility of the court practice with the existing legislative regulations and to demonstrate the irrelevant violation of the fair judicial rights defined by the Constitution.

At the modern stage, while the country is developing economically and is accompanied by a multitude of business relationships, it is important for the country to make quick judicial decisions in order to make business more attractive. General courts are administering justice in

Georgia. The proper functioning of the court is directly related to the effective protection of the defendants' rights. Consequently, it should be considered as the current issue of quick resolution of the dispute between the parties to the trial process in compliance with the legislation. The purpose of the research is to identify the problematic issues of violations of the persons' rights participating in the trial and to develop certain recommendations in order to eliminate the identified problems.

The study is based on practical, normative and comparable legal methods. The inconsistencies in court practice with the requirements of the legislation will be discussed through practical methods. The work will research the peculiarities of the ongoing trials in Georgia in respect to procedural terms, as well as the issues of realization of the right to fair trial in court practice, its explanations and the definitions of the European Court of Human Rights and Freedoms. The current regulations in the Georgian legislation will be considered by the normative method during the trial, which results in the disadvantages in practice. Also, through a comparative method will assess how the Georgian normative legislation is in compliance with the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, that represents an international act and whose Contracting State is Georgia.

Keywords: Fair trial, trial, extending process.